ტუბერკულოზისა და ფილტვის
დაავადებათა ეროვნული
ცენტრი

NATIONAL CENTER FOR
TUBERCULOSIS AND LUNG
DISEASES

№ 14/0/01-11
01 06 2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველ მოადგილეს
თამარ გაბუნიას

განცხადება

მოგეხსენებათ, ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექცია (Covid-19) მსოფლიოს გამოწვევად იქცა და ჯანდაცვის სისტემის გარკვეული სფეროების განახლება მოითხოვა. დადგა ტუბერკულოზით და Covid-19-ით ერთდროულად დაავადებული პაციენტების დიაგნოსტიკის და მკურნალობის რეკომენდაციების შემუშავების გადაუდებელი აუცილებლობაც. ამის გათვალისწინებით საქართველოს ფთიზიატრთა და პულმონოლოგთა ასოციაციამ, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულმა ცენტრმა, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრთან თანამშრომლობით შეიმუშავა ტუბერკულოზის და ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (Covid-19) კლინიკური მართვის პროტოკოლი (იხ. დანართის სახით). მისი მიზანია მედპერსონალს მიაწოდოს ეფექტიანი რეკომენდაციები ტუბერკულოზის და Covid-19-ის კო-ინფექციის დროული გამოვლენის და კლინიკური მართვის ხარისხიანი პრაქტიკის დანერგვისა და უზრუნველყოფისათვის.

აღნიშნულ პროტოკოლს წარმოგიდგენთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინების) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნულ საბჭოზე განსახილველად.

დოკუმენტს თან ერთვის საქართველოს თერაპევტთა ასოციაციის რეკომენდაცია.

ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა
ეროვნული ცენტრის დირექტორი;
საქართველოს ფთიზიატრთა და პულმონოლოგთა
ასოციაციის თავმჯდომარე: /ზაზა ავალიანი/

www.tbgeo.ge

თბილისი, 0101, მარუაშვილის ქ. 50. ტელ: (995+32) 91-02-51; ფაქსი: (995+32 91-02-52. ელ-ფოსტა: tbcenter@tbgeo.ge